ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4180050

ნომერი: AR1631044

თარიღი : 17.09.2018

გაცემის თარიღი : 20.09.2018

გაცნობის თარიღი : 03.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ქუჩა კვირაცხოვლის , N 83 ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ; ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი, კვირაცხოვლის ქუჩა N83-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლულუ ზარნაძე პ/ნ 60001019451
- კვირადცხოვლის 83

ორგანიზაცია:
- შპს "მწვანე ქვეყანა" კოდი: 400018850

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 17 სექტემბრის #AR1631044 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, კვირაცხოვლის ქ. #83, სოფელ დიღომში, კვირაცხოვლის ქ. #83-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.065.176) საწყობის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.065.176), დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ მიხედვით საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3) წარმოადგენს დაბალი ინტენსივობის შერეულ საცხოვრებელ ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საცხოვრებელი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს შერეული ტიპის საცხოვრებელი სახლები. დასაშვებია ამ წესების დანართი-1-ით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობები;
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
0,5
კოეფიციენტი
კ-2
1,5
კოეფიციენტი
კ-3
0,3
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
300 / 400 *
კვ.მ
მინიმალური სიგანე
9 / 12 *
მეტრი
მინიმალური სიღრმე
20 / 25 *
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
15 *
მეტრი
შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის დასასტუმროსთვის

მოცემულ ფუნქციურ ზონაში (საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)) საწყობის განთავსება მოქმედი კანონმდებლობით დასაშვები არ არის.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.